



სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა
ფასების ინდექსი
საქართველოში

2017
ივნისი

20.07.2017

www.geostat.ge

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2017 წლის ივნისი

2017 წლის ივნისში სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსის ცვლილებამ წინა თვესთან შედარებით 0,5 პროცენტი, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 12,3 პროცენტი შეადგინა.

2017 წლის ივნისში წინა თვესთან შედარებით ინდექსის ზრდა განპირობებული იყო გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე ფასების 0,6 პროცენტით ზრდით, რაც ინდექსის ცვლილების მთლიან მაჩვენებელში 0,49 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასების ზრდა დაფიქსირდა ლითონებსა და ლითონის მზა ნაწარმზე (1,8 პროცენტი), აგრეთვე კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (1,1 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა ქიმიურ ნივთიერებებზე, ქიმიურ პროდუქტებსა და ქიმიურ ბოჭკოებზე (-3,0 პროცენტი).

12 თვიან პერიოდში ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ პროდუქტებზე:

- **გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია:** ფასები გაიზარდა 12,7 პროცენტით, რომლის წვლილმაც ინდექსის პროცენტული ცვლილების საერთო მაჩვენებელში 10,49 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების ზრდა დაფიქსირდა ძირითად ლითონებსა და ლითონის მზა ნაწარმზე (39,9 პროცენტი), აგრეთვე კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (11,3 პროცენტი);
- **ელექტროენერჯია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი:** ფასები გაიზარდა 8,1 პროცენტით, რამაც 1,15 პროცენტული პუნქტი შეიტანა მთლიანი ინდექსის ცვლილებაში;
- **სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია:** ფასები გაიზარდა 16,7 პროცენტით, რაც 0,63 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით) და ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები.


სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2017 წლის ივნისი


კოდი	ჯგუფები	2017 წლის მაისთან	წვლილი ¹ თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2016 წლის ივნისთან	წვლილი ¹ წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	100.5	0.50	112.3	12.27
C	სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია	99.9	0.00	116.7	0.63
CA	ქვანახშირი და ლიგნიტი; ტორფი; ნედლი ნავთობი და ბუნებრივი აირი; ურანი და თორიუმი	94.6	-0.03	99.5	0.02
CB	ლითონის მადნები და სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების სხვა პროდუქცია	100.8	0.03	120.1	0.61
D	გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია	100.6	0.49	112.7	10.49
DA	კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი	101.1	0.42	111.3	4.46
DB	ტექსტილი და საფეიქრო ნაწარმი	100.8	0.02	102.2	-0.01
DC	ტყავი და ნაწარმი ტყავისაგან	100.2	0.00	91.3	-0.04
DD	მერქანი და მერქნის ნაწარმი	102.4	0.03	93.3	-0.09
DE	ცელულოზა, ქაღალდი და ქაღალდის ნაწარმი; ინფორმაციის მატარებლები; პოლიგრაფიული მომსახურება	99.9	0.00	103.4	0.08
DF	კოქსი, ნავთობის გადამამუშავების პროდუქტები და ბირთვული სათბობი	100.6	0.00	...	0.03
DG	ქიმიური ნივთიერებები, ქიმიური პროდუქტები და ქიმიური ბოჭკოები	97.0	-0.18	95.6	-0.27
DH	რეზინისა და პლასტმასის ნაწარმი	101.0	0.03	108.0	0.22
DI	სხვა არალითონის მინერალური ნაწარმი	99.4	-0.07	102.5	0.27
DJ	ძირითადი ლითონები და ლითონის მზა ნაწარმი	101.8	0.24	139.9	5.54
DK	მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	100.0	0.00	89.2	-0.06
DL	ელექტრული და ოპტიკური მოწყობილობები	100.0	0.00	133.9	0.30
DM	სატრანსპორტო მოწყობილობები	100.5	0.00	96.7	-0.03
DN	სხვა სამრეწველო საქონელი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	100.7	0.01	104.6	0.09
E	ელექტროენერჯია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი	100.1	0.01	108.1	1.15

¹რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.


სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი
(წინა თვე = 100)



სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი
(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი
(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან)



საკონტაქტო პირი: ლევან ქარსაულიძე
ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელ.ფოსტა: lkarsaulidze@geostat.ge